

## სამეცნიერო ჟურნალი

# მუსავალი

(იბეჭდება თო კვირაში ერთხელ)

ურნალის ფასი წელიწადში 3 მან. რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად 10 კაბ. || აღრესი: თიფლისი, ბარათიშვილი, № 5.

წელიწადი პირველი

1909 წელიწადი.—1 მათათვე.—№ 4.

შ 0 6 1 1 6 8 0

გ. რცხილაძე . . . . .	ცოცხალი და მკვდარი ბუნება.—მცენარენი და ცხოველნი . . . . .	3
ლევან გოგნიაშვილი . . . . .	ამერიკული ვაზის გავრცელება: ქუთაისისა და ტიფლისის გუბერნიებში . . . . .	5
სვიმონ ხუნდაძე . . . . .	ნაცარი და მისი წაშლობა . . . . .	8
ალ. ლორთქიფანიძე . . . . .	მეთეულტრეზობა . . . . .	10
გ. შ—ელი . . . . .	ბუნებრივი სისტემები ხეხილებისათვის . . . . .	14
საყურადღებო ცნობები:		
ედილი . . . . .	მსხვილ-ფეხს საქონლის გაბურვა . . . . .	16
ე. კანჩერი . . . . .	მთსავალი ამიერ-კავკასიაში მდგრადავ 1909 წელს . 16	

### ტფილისი

ელექტრო-მექანიკური წიგ. გამოშტ. ქართ. ამს—სა.  
1909

# სამეცნიერო ჟურნალი

## მოსახლი

(იძულება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალი მოხაწილეობას შეიძებენ: — ავტორი პ., ალიბეგოვი გ., ბერეგას შვილი გ., გვერდწილელი პ., კოგნიევი ლ., გოგიჩაშვილი ფ., გულისაშვილი ზ., ლელა რიშვილი შ., ერანვი ს., გაუ-ფშაველა, იოსელიანი ე., გარელაშვილი ე., გალანძაძე ნ., ლორთქიფანიძე პ., ლიონიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრევლიშვილი გ., მკურნალი ნ., მურვანიშვილი მ., მჭედლიშვილი გ., მამულაშვილი მ., მაღალაშვილი მ., ნანუაშვილი მ., ნახუცრიშვილი გ., ნაარაძე ს., ქარიანი ს., ელილაშვილი ზ., ღვითისავაროვი კ., ზალიშვილი გ., ჯაფარიძე გ., ყავრიშვილი ნ., ჩოლოევაშვილი ს., რაზიკაშვილი თ., რცხილაძე გ., ხენაძე ს., ფიმოფეევი ს., სააკვი ა., ქარციფაძე მ.

რედაქტორია მოელის სხვებიდებანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

### თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცულარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩეა) წლის დამლევს დაურიკდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორმ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბორუნებლი.დ.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსახლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვების უკელა სამეურნეო ნაწარმოების შექმნასაღალებაში.

ქუთაისში ხელის მოწერა ჟურნალზე მიღება წიგნის მაღაზიაში „იმერეთი“

## ცოცხალი და მკვდარი ბუნება.—მცენარენი და ცხოველი

სიცოცხლის საარსებო პირობები

ცოცხლი ცოცხალი არსება—ორგანიზის მთელი თავისი სიცოცხლე განუწყვეტილი მუშაობაშია: გარეშე მყოფ ბუნებიდან ითვისებს საჭირო ნივთირებებს და გაანთავისუფლებს, რომელთაც აღარ საჭიროებს. მაშასადამე, სიცოცხლე შეიძლება იქ, სადაც ცოცხალი ორგანიზმოსათვის ყველა საჭირო საკვებავი ნივთიერება არის და მასთან სადაც ამ ნივთიერებებს ისეთი მდგრადობა აქვთ, რომ ორგანიზმს შეუძლიან მათი შეთვისება.

ესეთ ნივთიერებებს ეკუთვნიან **საჭმელი**. **წყალი** (რაღაც ცოცხალ არსების სხეულში ყოველი ნივთიერება, რომელიც კი ცვლილებას განიცდის, დამდნარია ხოლმე) და **მუავბადი**.

თუმცა ზოგიერთი ორგანიზმონი (გაქტერიები და სხვა) ცოცხლობენ ისეთ ალაგებშიაც, სადაც მუავბადი არც როგორც ჰაერგვარი და არც წყალში გახსნილი არის, მაგრამ ეს საარსებო პირობა—ყოველ ორგანიზმოსათვის მუავბადის საჭიროება—მაინც უტყუარია. ორგანიზმონი, რომელნიც მითომ უმუავბადოთ ცხოვრობენ, ქიმიურად შლიან სხვა ნივთიერებებს და ამ გზით განთავისუფლებულ მუავბადს ითვისებენ. ამ გვარად ამ ორგანიზმოებზე შეიძლება ითვას, რომ ესენი კმაყოფილდებიან ცოტა მუავბადით, ხოლო უმუავბადოთ გაძლება კი ამათაც არ შეუძლიანთ. უმუავბადოთ სძლებენ დიდხანს და მასთან ძალიან ცოტა მუავბადით კმაყოფილდებიან აგრეთვე ეგრედ წოდებული ჰარაზიტები—ცხოველები, რომელნიც სხვა ცხოველების ნაწლევებში

მრავლდებიან. ხოლო სიცოცხლისათვის მუავბადის საჭიროება, საზოგადოდ, არც ამ მაგალითით გაუქმდება.

ცოცხლი ცოცხალი ორგანიზმი არსებობს განსაზღვრულ პირობებში (წყალში, ჰაერში, სხვა სხეულების წვენში და სხვადასხვა), განსაზღვრულ ტემპერატურაში, განსაზღვრულ ტემპსფერეის დაწოლის ძალის ქვეშ, სადაც განსაზღვრული ჰაერგვარებია, მარილები და სხვადასხვა.

უნდა ვიცოდეთ, რომელი ფაქტორი რა ზომით უნდა მოქმედობდეს, რომ შევევძლოს ესთევათ სად რომელი ორგანიზმი გასძლებს და როდის იქნება მის არსებობა უმეტესად ხელშეწყობილი. საჭიროა აგრედვე ვიცოდეთ, რომელი ფაქტორი რამდენად უნდა მოქმედობდეს, რომ ყოველი პროცესი სიცოცხლისა ნორმალურ ზომისად ხდებოდეს და არა მარტო შესძლისი იყოს მოოლოდ.

ჩვენ აქ სახეში გვაქვს ის ორგანიზმები, რომელნიც დიდი ხნითა სძლებენ მიმკვდარებულნი ისეთ პირობებში, რომელშიაც ნორმალური ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ესეთია, მაგალითად, სფორებისა და თესლის მდგრადობა, მდგომარეობა მცენარისა ზამთარში, საღათას ძილი და სხვა.

მცენარის თესლში ჩამალულმა სიცოცხლემ ზოგჯერ შეიძლება ძალიან დიდი ხანი გასძლოს და კი არ ემჩნევდეს თესლს ნივთიერებების შეთვისება-განთავისუფლება, რომელიც ჰმოწმობს სიცოცხლის არსებობას.

იმ საჭირო პირობებს სიცოცხლის არსებობისათვის, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ისიც უნდა დაუმატოთ, რომ

არც ერთი ამ პირობათაგანი არ შეიძლება ისე მივიღოთ, ვითომ მათი შეცვლა სრულიად შეუძლებელი იყოს სხვა და სხვა ორგანიზმოთა არსებობისათვის. პირიქით, ყოველი ამ პირობათაგანი შეიძლება იქმნეს შეცვლილი, რადგან ამ ცვლილებათა შეფასება მუდამ შეუძლიანათ ორგანიზმოებს. ესეთი შეცვლა-შეფასება საარსებო პირობებისა მუდამა ხდება ბუნებაში დიდი ზომით.

მაგალითად, ზღვაში ცხოვრებას და-ჩვეული ორგანიზმონი ხშირად მდინარე წყალში ცხოვრებას ეჩვევიან, მდინარე წყალში ჩვეულნი მღაშე წყლებში გადადიან და სხვა.

ორგანიზმოები ცხოვრების ასეთი გამოცვლით ზოგჯერ თითონაც ტანით, გარეგანი შეხედულობით და სხვა ძლიერ გამოიცვლებიან ხოლმე, მაგრამ მათი არსებითი სიცოცხლე-კი ამით არ ისპობა.

### მცენარენი და ცხოველი

ცოცხალ არსებებს ჰყოფენ ორ დიდ რიგათ: **მცენარენი და ცხოველი.**

განსხვაება მათ შორის პირველ შეხედვით ყველა-სათვის აშკარაა. განსხვაება იგი გამოიხატება: 1) მათ აგებულობაში, 2) მცენარეების უმოძრაობაში და ცხოველების მოძრაობაში, 3) მცენარეების უგრძნობლობაში და შეუგნებლობაში და 4) სხვადასხვა-გვარად საზრდოობაში როგორადაც სა-საზრდოებელ ორგანოების მხრივ, ისე საზრდოობის თვით შინაარსის მხრივაც (მცენარენი ითვისებენ საკვებავს სხეულის ზედაკანით და არა-ორგანიზულ ნივთიერებებიდან ჰქმნიან ორგანიულ ნივთიერებას.)

ხოლო ყველა ეს განსხვაებანი, თუ კარგად დავაკვირდებით მცენარეებსაც

და ცხოველებსაც, მაგლენ ვერაფერ ხელმძღვანელობას გაგვიწევენ მათ ერთიერთმანეთისაგან გარჩევაში.

უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომ როგორც მცენარეებში, აგრედვე ცხოველებში არიან ისეთი წარმომადგენელნი, რომელნიც თითო უჯრედებისაგან შესდგებიან და ამ უჯრედებს შეიძლება აგებულობაც, მოძრაობაც და საზრდოობაც ერთნარი ქონდეთ. მაინცა და მაინც ერთუჯრედიან მცენარისა და ცხოველის გარჩევა შეგვიძლიან მხოლოდ მაშინ, როცა მთელ გზას მათი განვითარებისას დავაკვირდებით.

დღესაც ბევრი ორგანიზმოები ვიცით ისეთი, რომელნიც მეცნიერებას ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია, ვერ უთქვამს: ცხოველებს ეკუთვნიან ეს ორგანიზმონი, თუ მცენარეებს.

არც მცენარეების უმოძრაობა და ცხოველების მოძრაობა არას საიმედონიშანი მათი განსხვაებისა. გარდა იმისა რომ ეს ზემოდ ნათქვამიდანაც აშეარადა სჩანს, აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი ცხოველები მთელი თავიანთი სიცოცხლე ერთ ალაგას არიან მიკრულნი და ძლიერ მცირედად მოძრაობენ. ასე მაგალითად: ღრუბლის მოძრაობა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მისი ჩუჩრუტები, რომლითაც ღრუბლის სხეულში წყალი შედის და გამოდის, ხან იხურებიან და ხან იხდებიან, შიგნით სხეულში კიდე სხეულის შემადგენელი უჯრედები უმოძრავებს.

მეორეს მხრით: მოძრაობა შეუძლიანათ ზოგიერთ მცენარეებსაც, როგორც მაგალითად ეგრედ წოდებულ მიმზა არის.

არც უგრძნობლობა და შეუგნებლობა არის უტყუარი საბუთი მცენარეთა და ცხოველთა შორის განსხვაებისა.

ჯერ ერთი რომ როცა მცენარე და ცხოველი ერთ უჯრედიანი ორგანიზმონი არიან, არაფერი განსხვაება მათ არ ეტყობათ მოძრაობაში. მერე. ზოგიერთი მცენარენი, როგორც მაგალითად მიმოზა და მწერი-მჭამელა მცენარეები ზოგი, გარდა იმისა, რომ ერთი და იგივე მიზეზის ზედგავლენით ერთდაიგივე ნაირად მოძრაობენ, ეთერის, ქლოროფორმის ზედმოქმედებით ისევე ნაირად კარგავენ გრძნობიერობას, მოძრაობას, როგორადაც ცხოველები.

ერთ უჯრედიანი მცენარენი და ცხოველი ერთნაირად მოქმედობენ საჭმლის მიღებაშიაც.

მეორეს მხრით: ზოგი ცხოველთაგანი (მუცლის ჭია—Ленточный глистъ) სხეულის მთელი კანით ითვისებენ საკვებავს; ზოგ პარაზიტებს საჭმლის მისაღებათ მცენარის ფესვებსავით ორგანოები ეზრდებათ, რომლებითაც ეს კიბოს მზგავსი პარაზიტები სწოვენ სინოკივრეს სხვისა სხეულიდგან, რომელშიაც ჩასახლებულია.

რაც შეეხება საზრდოობის შინაარსს, უნდა ვსთკვათ, რომ ორგანიზმი ნივთიერების შექმნა არა-ორგანიზმი ნივთიერებებიდან უკვლა მცენარეს არ შეუძლიან. უკვლა სოკოები და მეტი წილი ბაქტერიები და აგრედვე საზოგადოდ უკვლა მცენარეები ქლოროფილს ან მის მზგავს ნივთიერებას მოკლებულნი თვით საჭიროებენ ორგანიზმ ნივთიერებას საკვებავთ.

არიან ისეთი ცოცხალი არსებანიც, რომელთაც ხან მცენარეებათ სთვლიან, ხან ცხოველებათ, აქვთ ქლოროფილი ან მის მზგავსი ნივთიერება და ორგანიულ ნივთიერებას ამზადებენ არა-ორგანიზმი ნივთიერებებიდგან.

ამ გვარად, ის მითამ და დიდი განსხვაება ცხოველთა და მცენარეთა შორის, რომელიც პირველ შეხედვით აშკარად სხანს, სრულიად საიმედო არა ყოფილა რომელიმე ცოცხალი არსების ამოცნობაში, როცა გვინდა გავიგოთ იგი არსება ცხოველია თუ მცენარე.

მცენარეები და ცხოველები გადაბმულნი არიან ერთმანეთში ერთ უჯრედიანი არსებებით და ყოველი გამიჯვნა მათ შორის, რომლითაც ვლამობთ დავნიშნოთ: სად თავდებან ერთი რიგი ცოცხალი არსებანი — მცენარეები და სად იწყობან მეორე რიგი არსებანი — ცხოველები, მკვიდრ ყორლნებზე არა ყოფილა დამყარებული.

ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ ზოგჯერ ერთიდაიგივე ორგანიზმონი ხან ბოტანიკაში არიან მოქცეულნი და ხან ზოოლოგიაში.

მეცნიერებაში დღეს დამკვიდრებული შეხედულობით მცენარეებისა და ცხოველების ესეთი განუსაზღვრელობა გასაკეთოვალი არ არის, რაღაც ორგვე რიგი არსებანი ჩამომავლობენ ერთ საერთო სათავედგან — ერთ უჯრედიან ორგანიზმებიდგან.

### ვ. რცხილაძე

## აშენის ული ვაზის გამრტელება ქუთაისის და ტფილის გუბირნიუმში

ამერიკული ვაზი პირველად ამ ჩვიდებეტი წლის წინათ აგრონომმა ვლ. სტაროსელსკიმ მოიტანა ქუთაისის გუბერნიაში. შორაპნის მაზრაში ს. სა-

ქარაში მოხდა პირველი ცდა ნერგის მისაღებად ამერიკული ვაზის თესლიდან. იმ დროს საფრანგეთიდან ჩვენში ლერშის (წალაშის) შემოტანა აკრძალუ-



ლი იყო. მთავრობამ ნება დართო საფრანგეთიდან ლერწის გადმოტანისა 1893 წ. და სწორეთ ამ დროიდან იწყობა იმერეთში ხანა ფილოქსერასთან ბრძოლისა ამერიკული ვაზის საშუალებით. დღეს მთელს იმერეთში ისეთი სოფელი არ მოიპოვება, რომ რაოდენიმე ქცევა ნამყენი ვენახი არ იყოს გაშენებული ამერიკულ დედავაზე. 1896 წელს ამერიკული ვაზის ნერგი ქართლში იყო შემოტანილი ივანე ანდრონიკაშვილის მიერ, რომელიც მեნედ შეუდგა მის გაშენებას ს. აღაიანში, სადაც დღესაც არსებობს სახემწიფო სანერგე. აქედან ამერიკული ვაზი გადავიდა კახეთში და ბორჩალოს მაზრაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართლში ფილოქსერა უკვე არსებობს და ღუპავს ვენახებს, კახეთში კიდე ზედ კარებზედ არის მიმდგარი, ქართლ-კახელი შევენახეები ყურაც არ იძერტყავნენ და არამც თუ ნამყენი ვენახის გაშენებით, თითო უბრალო ამერიკული ვაზის დარგვითაც არ ემზადებიან ფილოქსერასთან საბრძოლველად. დანაშაული ამ საქმეში ინტელიგენტ მევენახეთ მიუძღვით, რომელთა რიცხვი არა; ისე მცირეა ქართლ-კახეთში. ათი წლის განმავლობაში მათ ძალიან კარგ შექმლით საცდელ ათ ჩაეყარათ სხვადასხვა ჯიშის ამერიკული ვაზები ალიგ ალიგ და შედეგი თავინთი დაკვირვებისა გაეზიარებინათ მეზობელ მევენახეთათვის; ეს არ მოითხოვდა არც დიდ ცოდნას და არც დიდ ხარჯს.

პირველათ ქუთაისის გუბერნიაში ამერიკული ვაზის და მის ნამყენის გავრცელებით სრულებით განურჩევლად დაიწყეს. მხედველობაში არ მიუღიათ ის გარემოება, რომ ჯერ უნდა ყველა რაიონი-

სთვის შერჩეულიყო ამერიკული ვაზი იდკილობრივი ნიადაგის პირობების მიხედვით. ესეთი წინდაუხედაობა არას სწორეთ მიზეზი იმისი, რომ დღეს ქუთაისის გუბერნიაში ხშირად ათო-თორმეტი წლის გაშენებული ნამყენი ვენახი ამოსაგდებათ არის გამხდარი.

მარტო ამერიკული ვაზის ამორჩევაში არ შესცდა ქუთაისის გუბერნიის მევენახე. მან თავი მიანება ადგილობრივ ჯიშების დამყნობას ამერიკულ ვაზზედდა, არ ვიცი რა მოსაზრებით, ამყნოერობიული ჯიში კაბერნე, რისლინგი. დღეს კაბერნეს და რისლინგის ღვინოსთვის ჩვენში ბაზარი არა მოპოებული, რადგან ამ ვაზების ღვინო იძერეთში უფერული და თხელი გამოიდის, სირაჯი შეჩვეული არ არის და მევენახი იძულებული ხდება ვენახი გაკაფიოს და მის მაგიერ შინაური ვაზი ამყნოს. ქართლ-კახეთში ხანა ამერიკული ვაზის გაშენებისა ხელა იწყობა. რომ იქც იმერეთის ამბავი არ გამეორდეს, მევენახე შეცდომაში არ შევიდეს, იმ გამოცდილებით უნდა ისარგებლონ, რომელიც დღეს იმერეთის მევენახეს აქვს შეძენილი.

უურნალ „მოსავლის“ საშუალებით მიემართავ ქართლ-კახელ მევენახეთ შემდეგის რჩევით: კრიზისის თავიდან ასაცდენათ ნუ დაიზარებთ რამდენიმე ასი ამერიკული ვაზის ჩაყრას თქვენ ვენახების სანაპიროებში. ოთხი ხუთი-წლის შემდეგ ჟველას გექნებათ ლერწი ნამყენის გასაკეთებლათ, თორემ გაჭირების დროს არამც თუ ნამყენის შოვნა, ამერიკული ლერწის შოვნაც კი ვაგიძნელდებათ და ეს უფრო გაამწვავებს კრიზის მევენახეობაში. საქარის სანერგეში საფრანგეთიდან ბევრი ჯიშის ვაზი იქნა ბ-5 სტაროსელსკისაგან.

გადმოტანილი. ეს ჯიშები ეხლაც არის, ხოლო გამოცდამ დანახვა, რომ უფრო მეტად გამოსადეგნი შემდეგი ჯიშები არიან: „რუპესტრის დიულოტ“, „რიპარია-რუპესტრის“ 3309, „რიპარია-რუპესტრის“ 3306 და 101<sup>14</sup>. ნაკლებათ — რიპარია და ბერლანდიერი. ყველა ამ ჯიშებს აქვთ სხვადასხვა თვისება და ამიტომ ამათი გამოყენება მოსახლეობებითი სხვადასხვა პირობებში. ამისათვის ყველა ჯიშს ცალკეულკე მოკლეთ ავწერ, რომ მევენახეს შეეძლოს მათი ცოდნით ისარგებლოს, ევები თავიდან აიცდინოს ის შეცდომა, რაც ყოველ ახალ საქმეს წინ უძლვის ხოლმე.

1. „რუპესტრის დიულოტ.“ ამ ჯიშს თავისუფლათ შეუძლიან იხაროს შუალს, ხირხატ და მჭერ აღგილებზე, მხოლოდ მზიანი აღგილები კი უნდა იყოს. მსუქანი აღაგი მისთვის მავნებელია: რქას ძალიან იმსხვილებს და სანამყენოთ არ არის გამოსადეგი. სხვებთან შედარებით კარგა ხარობს. საშუალოთ 20—35% ნამყენი გამოდის კარგა ნახარები. მოსახლს იძლევა სხვა ჯიშებზე აღრე, აღვილათ იტანს გოლვას და სიცივეს, ფეხს ძალიან ღონიერს იკეთებს; ნამყენი ამისი მაღმალე იყრის ძირიდან ყლორტს და საჭიროა ეს ყლორტები ჩაეყალოს ხოლმე, თორემ ნამყენი დასუსტდება. მსუქან და ნესტიან აღაგში რქაწითელი შაზედ დამყნილი ძალიან თამამდება და მოსახლს ცოტას იძლევა. კახეთში თამამათ შეიძლება გაფრცელდეს გაღმა-გამოღმა სოფლებში, სახემწიფო გზის ზემოდან, მთის დაბლა კალთებზედ. მაზედ დამყნილი რქაწითელი კარგ ნამყენს იძლევა 15—25%, საფერავი—20—30%, მწვანე—25—35%. რქა აღვილათ ხარობს. ამ ნამყენს უყვარს გრძელი გასხვლა; მოკლე გასხვლას სულ ვერ იტანს. ფილოქსერის ამტანია.

## 2. რიპარია-რუპესტრის 101<sup>14</sup>. ა

გიბრიდს უყვარს ყვითელი თიხა ნარევი მიწა, როგორც ღონიერი და ცოტა გრილი ნიადაგი. ფილოქსერას უძლებს კარგათ. ჩვენი კახური ჯიშები მაზედ დამყნილი საშუალოთ 15—25% იხარებს ხოლმე. რქით ძალიან აღვილათ ხარობს და ფესვებსაც იკეთებს ღონიერს. გრძელი და ღონიერი ფეხი ნამყენისა მის გამკეთებელს ხშირად ხიბლავს, რის გამოცეს ვაზი ისეთ ალაგებშიაც ირგვება, სადაც მას აღაგი არ უნდა ქონდეს სრულებით.

კახეთში სოფელ ურიათუბნის ბოლოზე იღებული ნიადაგის ნიმუშები გაუგზავნა განსვენებულმა ვ. ჯაფარიძემ საფრანგეთის გამოჩენილ მეცნიერს ფიალას გასაშინჯათ და პასუხი ასეთი მიიღო;

**ურიათუბნის ბოლოზე უსათუოდ რიპარია-რუპესტრის 101<sup>14</sup> უნდა გაშენდეს.** ეს ნამყენი იძლევა კარგს მოსახლს. ქუთაისის გუბერნიაში ნაკლებათ არის გავრცელებული, რქა საუკეთესოთ იწევა და აღრეც შემოადის, ვიდრე რიპარია-რუპესტრის 3309—3306, მხოლოდ ლერწი ძალიან მჩატეა და ფუქსატობს, ისე რომ ერთი მეტრიდან ორი და ხან ერთის მეტი ნამყენი არ გამოდის და ამიტომ ძვირად ჯდება.

**3. რიპარია-რუპესტრის 3309—3306.** ეს გიბრიდები შესამნევად არ განიჩევიან ერთი ერთმანეთისაგან; ვერ გვარობენ როცა ნიადაგს ძალიან ბევრი კირი ურევია, ხრიოკი აღგილია და ქვიანი, თუმცა კი უფრო მეტ კირს უძლებენ, ვიდრე ზემოხსენებული ჯიშები. ფეხებს იკეთებენ სუსტს და რქაც ნაკლებად ხარობს; კარგათ იზრდებიან ღონიერ ლამიან ალაგზედ, ვერ იტანენ

სიცხვეს, გოლვას; ნამყენს იძლევიან ცოტას, რქა-წითელი 20% / 0-ზე მეტი არ გამოდის ნახარები და საფერავი და მწვანე — 25% / 0-ზე.

ხოლო ნამყენმა მოსავალი საუკეთესო იცის. შეიძლება გავრცელდეს კახეთში ალაზნის ხეობაზედ გაღმა-გამომმა სოფლის ბოლოებზედ; ზოგან სოფლებშიც, მხოლოდ ზირხატი ალაგი არ უნდა იყოს. იმერეთში ნაკლებათ არის გავრცელებული, სამეგრელოში უფრო მეტს შეხვდებით, რადგან სამეგრელოში რუპესტრის დიულოტ ძალიან თამამდება და მაზედ დამყნილი რქაწითელი ნაკლებ მოსავალს იძლევა. ამისი ნამყენი ყველანაირს გასხვლას იტანს. ეს ორი გიბრიდი იმით განსხვავდებიან, რომ გიბრიდი № 3309 უფრო მეტად უძლებს ფილოქსერის და უფრო კარგა ხარობს ზედმეტ კირნარევ, გამშრალ ნიადაგში, ვიდრე გიბრიდი № 3306.

4. ბერლანდიერი. ეს ჯიში გამოსადეგია ისეთ კირნარევ ალაგებში, სადაც ყველა ზემოხსენებული ჯიშები ვერა გვარობენ, მხოლოდ მისი ნაკლი ის არის, რომ ძალიან ძნელათ ხარობს მისი ლერწი და ნამყენი; ნამყენს იძლევა 10—15% და კიდევ ნაკლებსაც. ამას ამყნობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არც რიუპესტრის დიულოტ და არც გიბრიდები №№ 3309, 3306 და 101<sup>14</sup> არ ხარობენ კირის სიჭარბის გამო ნიადაგში.

ნამყენი გამოდის ამტანი გოლვისა და სიცივისა. მისი რქა თავის დროზედ შემოდის და სანამყენოთ ადვილი სამუშაოა.

5. რიპარი. ამ ჯიშს უყვარს ღონიერი და გრილი ნიადაგი, სრულებით ვერ იტანს კირს; კირნარევ მიწაში მისი ნამყენს ფოთოლი უყვითლდება და სუსტს ძირს იკეთებს. რქაც და ნამყენიც მისი ძრიელ ნაკლებათ ხარობს. რქაწითელი, მაგალითად, 10—12% მეტს არ იძლევა ნახარებს; ერთი დიდი ნაკლი ამ ჯიშისა ის არის, რომ ნამყენში ძირი საქმაოდ არა მსხვილდება, ზედ დამყნილი ევროპიული ან ჩივენი ვაზი, იმ ალაგას სადაც შეხორცებულია ნამყენი, წვრილ წლიოკ რიპარის ძირზე ერთი ორათ და სამათ დამსხვილებული ვაზი ზის ზედ; წლიოკი ძირი ვერ ასახრდოებს საქმარისიდ ზედ დამყნილ ნაწილს და ამ შეუფერებლობის გამო, თუ ყოველთვის სარჩედ არ არის მიკრული, დედამიწაზედ ტყაპანი გასცვივა ხოლმე; ქარიც ხშირათ სტეხავს, გოლვაში ყურძენი კკნება. რქა რიპარისა ძრიელ რბილია, მჩატეა და სამუშაოთ ფუქსავატი; მსხვილი გული აქვს, რის გამო ევროპიულ ჯიშებს ვერ უდგება, ვერ შეხორცება ხოლმე. თუ სარჩებზედ არ არის ახვეული, ბევრი ტოტებისა და ფოთლების გამო ერთმანეთს აჩრდილებენ და თითქმის ნახვარი ვაზი შემოუსვლელი რჩება და ნახევრდება მისი მოსავალი.

### ლეგან გოგნიაშვილი

ჩვენში ყველა მამულის პიტონი კარგათ იცნობს ნაცარს. ეს სენი კარგა ხანია რაც კავკასიაში ვენახს გაუჩნდა. ნაცარი ძალიან აფუჭებს ყურძენს და,

რა თქმა უნდა, ამითი ვენახის პატრონს დიდი ზარალი მოსდის.

ნაცარი უჩნდება ვაზის ყლორტებს, ფოთლებს და მტევნებს. თუ ცხელი

ზაფხულია და წვიმიანიც, ეს სენი ისე ერთგულად მოედება ხოლმე ვაზებს, რომ გეგონებათ მთელი მცენარისათვის ნაცარი გადაუყრიათ. ნაცარი წვრილი, თვალით უხილავი სოკოსაგან წარმოსდგება. პირველ ხანებში ნაცრის მტვერი ადვილი მოსაცილებელია ვაზიდან, მაგრამ მერე რაც უფრო მეტი ღრო გადის, ამ სოკოების საწოვრები ვაზის მცენარის კანში შედის, ბადეს აბამს და არხეინათ სწოვს ვაზის წვენს, ართმევს ვაზს საზრდოს და მრავლდება და ვრცელდება.

დასწეულებული ვაზის რქა შავდება, ფოთლები ნაპირებიდან ეკრუნჩხება და სცვივა. ჩვენ უნდა ვიცოლეთ, რომ მწვანე ფოთლები მცენარისათვის იგივეა, რაც ადამიანისათვის ფილტვები და კუჭი, ამიტომ ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ რომ ვაზს ფოთლები არ დაუჭირიანდეს, არ გაუფუჭდეს.

ნაცარი ნორჩი ფოთოლს უფრო ადვილად უჩნდება და აფუჭებს. თუ ფოთოლმა სიფრიფანის გასქელება მოასწრო, მერე სენი აგრე რიგად ვეღარას ავნებს მას.

ნაცარი უფრო საშინელი მაშინ არის, როცა მტევნებს უჩნდება. თუ ნაცარი ვაზს ყვავილში ან დაყვავილების შემდეგ მაშინვე გაუჩნდა, გათავდა: სულ მოსპობს მტევანს. ხშირად მარცვლებს მარტო ნახევარი გვერდი უსნეულდება, ამ ადგილას მარცვლის კანი სქელდება, სქდება და მარცვალი შრება.

ამ ხანებში ნაცრის სოკო თესლს აჩენს, რომელსაც სფორას უწოდებენ. სფორები მრავლისაგან უმრავლესი ჩნდება, ჰარები იფანტებიან და კვლავ ასნეულებენ ვაზს და მტევნებს.

სფორებს ზამთრის სიცივისა არ ეშინიანთ, აღმოცენების ძალას არა კარგა-

ვენ, როცა ნაცარი ძალიან მძვინვარებს, მოსავალი ან სრულიად აღარ მოდის, ან და მეტის-მეტათ მცირდება. რაც გადარჩება, ისიც დაბალი ღირსებისაა ხოლმე. თუ ყურძენი უვარებისია, რასაკვირველია, ღვინოც არ დადგება კარგი.

უტყუარი საშუალება ნაცრის წინაამლდებ არის გოგირდი. ყველა მემამულე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თუ ვაზს გოგირდით თავის ღრიზედ ეწამლა, ყურძენი არ გაფუჭდება და ვაზიც ჯან-საღაო დარჩება.

ბაზარში იყიდება სხვა და სხვა ღირსების გოგირდი: დანაყილი გოგირდი (тертая ცხრა), რაც დაბალი თვისებისაა და გამოხდილი გოგირდი (Возгонная цхра ანუ ცხრის ცვეტი), რომელიც საუკეთესოა ღირსებით. გამოხდილი გოგირდი უფრო წმინდა არის, ფოთლებს ადვილათ ეწებება, ქარი და წვიმა ადვილათ ვერ აშორებს, მზის სიცხის ზედგავლენით ადვილათ იწვის (ე. ი. უერთდება მეფებადს), დგება ვენახში ბუღი და ნაცრის სოკოს კლავს. დაფქული ანუ დანაყილი გოგირდი სუფთა არ არის, სხვა ნივთიერებაც ურევია ხოლმე.

ამ გარემოებას უნდა მყიდველმა უსათუოდ ყურადღება მიაქციოს.

ყოფილა ისეთი მაგალითები, როცა გოგირდში სიმინდის ფქვილიც გაურევიათ.

წმინდა გოგირდს ყვითელი ფერი აქვს და წყალში არაოდეს არ სველდება.

გოგირდით სამჯერ მაინც უნდა ეწამლოს ვენახს ერთ ზაფხულში. თუ წვიმიანი ზაფხულია — 4—5-ჯერაც.

პირველი წამლობა უნდა მოხდეს, როცა ყლორტს 5—10 ფოთლამდე გამოუა. მეორე — ყვავილში.

ეს მეორე წამლობა აუცილებლივ საჭიროა, რადგან ამ ღროს ნაცარი

უფრო მძვინვარებს. გარდა ამისა ყვავილში გოგირდის შეყრა ვაზს ნაყოფიერებას ჰმატებს, და მოსავალიც საუკეთესო მოდის ღირსებით.

მესამე წამლობა საჭიროა, როცა მარცვალი კარგათ დაისვრიმდება. უკანასკნელად წამლობა უნდა გათავდეს ორი კვირით აღრე, ვიდრე ყურძენს თვალი შეუა. ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ. სიმწიფეში შესულ ყურძენს რომ ეწამლოს გოგირდით, ღვინოს ლაყე კვერცხის სუნი მიეცემა.

პირველი და მეორე წამლობის დროს გოგირდი მთელს ვაზს უნდა შევაყაროთ, ხოლო შემდეგ მეტი ყურადღება მტევნებს უნდა მიეცეს.

გოგირდი ვენაბში მიწაზედ უბრალოთ დაბნეულიც კი არ იკარგება უმნიშვნელოთ, დაიწვება ხოლმე და ნაცრის სფორცებსა სპობს.

გოგირდის ზედმოქმედება მარტო ნაცრის მოსპობით არა თავდება, იგი შველის ვაზს ზრდაში, მცენარეს ამაგრებს.

რამდენი ფუთი გოგირდი მოუნდება ერთ დესტრინა ვენახს, ეს იმაზეა დამოკიდებული ვაზი ახლო-ახლოა, თუ შორი-შორს, არეულია თუ ჩიგზედ არის დარგული. ხშირსა და არეულ ვაზს გოგირდიც მეტი უნდა. დაახლოებით ერთ დესიტრინას სამჯერ რომ ეწამლოს, 6—9 ფუძდე გოგირდი დასკირდება.

გოგირდის შესაყრელად საბერველებს ხმარობენ, პატარა ხელის საბერველი ღირს 1 მ. 50 კ.-მდე, და ზურგზედ მოსაკიდი პარატი, ტორპილი, 8 მან 50 კ.-მდე. ვისაც პატარა ვენახი აქვს, ხელის საბერველიც ეყოფა და დიდი ვენახის პატრონს-კი ტორპილი ურჩევნია.

დასასრულ კიდევ მინდა მოგაგონოთ, რომ თავის დროზედ წამლობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუ გოგირდის შეყრის უმაღ დიდი წვიმა მოვიდა, გოგირდი ჩამოირეცხება და საჭიროა ხელმეორედ შეეყაროს.

**სფორც ხუნდაძე**

## მ ე ფ უ ტ პ რ ე მ გ ა

ფუტკარი წელს გაზაფხულზე ძლიერ კარგად გამოკვებილი და გაღონივრებული გამოვიდა. მარტშივე გვესმოდა ყველა მხრიდან მისი გალალებული ყოფნა და იმედიც იყო რომ, თუ კარგი გაზაფხული დაუდგებოდა, უთუოდ კარგ სარგებლობასაც მოგვცემდა. მხოლოდ აპრილის და მაისის ზედიზედ უწვიმობამ და ქარ-სიცხემ იმ ზომა-მდე შეამცირა ბარში მცენარის ყვავილები, ისე გაუძვირდა ფუტკარს საზრდო, რომ მხოლოდ ძლიერ ღონიერი ფუტკარი მოახერხებდა თავის გადარჩენას. ზარალის ასაცდენად მეფუტკრე უნდა შეეშველოს ამ გვარ

შემთხვევაში, რომ ფუტკარმა ზომიერება დაიცვას.

მე მყავს ფუტკარი ქალაქის მახლობლად, სოფელ გლდანზედ. საუკეთესოდ არის ძირები დარჩეული. მოსავლის ძირები სასწორზე მიღება. პირველ ამ თიბათვეს სასწორმა მაჩვენა მომატება პირველ პირილიდან შხოლოდ ოცდა ცამეტი გირვანქა (ზარშან ამ დროს მატება სამოც და ჩვიდმეტი გირ. იყო). რადგანაც გამუდმებული ქარ-სიცხეს გამო ფუტკარს საკვებავის შოვნა გაუძნელდა, ფუმფლიც ნაკლებათ ჰყავდა სკაში. ვიფიქრე: ეს ოცდა ცამეტი გირვანქა, რაშაც 10 გირვანქამდე თაფლი

ზამორიძან იყო გამოყოლილი, საკვებავათაც არ ეყოფათ მეტქი და წავასხი ფუტკარი მთაში, რომ თავისთვის მაინც ეშვენა საჩინ და შემდეგშიაც არ მეზარალნა.

მუშტაილშიაც, აქ ქალაქში, ეგრე იყო: ერთი სუსტი ძირი სასწორზე ედგათ და ამათაც პირველ თიბათვეს შეამჩნიეს, რომ გვჯამ 4 გირვანქა იკლო.

ქალაქში ხომ შემოსავალი მეტი აღარ გაუჩნდებოდა. მაშრა უნდა ქნას ასეთმა სუსტმა ფუტკარმა, როგორ უნდა გაატაროს მთელი ზაფხული, შემოდგომა, როთი გასძლოს მთელი ზამთარი, თუ მეფუტკრემ არ იცის როგორ უშველოს. აი ამიტომ არ უნდა გაიკვირვოთ რომ იქ, სადაც ას-ასი ძირი ფუტკარი ყავდათ აქ ქალაქში, ახლა რო დაიაროთ ერთ მეთედსაც ვეღარ ნახავთ, რადგან ყველამ მთაში წაასხეს თავიანთი ფუტკრები, რომ გადაარჩინონ კიდეც და მოვებაც რამ ნახონ.

ამას იმისთვის ვამბობ, რომ ვისაც სამერმისოდაც სურს შეირჩინოს ფუტკარი, უთუოდ ეხლავე უნდა მიიღოს შესაფერი ზომები და რიგიანი ხელის შეწყობით იცილოს მეტი ზარალი.

ვისაც არ შეუძლიან ფუტკრის მთაში წასხმა, მან უნდა აქ მისცეს ეხლავე საკმაო საჩინ და მით დაამშეიდოს შეწუხებული ფუტკარი, თორემ, კაცისა არ იყოს, ღარიბს და დასუსტებულ ფუტკარს ყოველი ცუდი ზე შეეყრება. მტერიც ამ გაჭირებაში მალე მიატანს და ადვილად დააზარალებს.

დამშეული ფუტკარი ეჩვევა ძურდობას, უდროოთ მართვის გამოშვებას და ეხვევა ზედ აბლაბუდა-ჩრჩილი.

**ქურდობა** ფუტკარმა საჩინს შემკირებით იცის. ხოლო ბუნებით მინიჭებულ თვისებას — ოჯახზე ზრუნვას მაინც

არ კარგავს. დაუდგრომელად ცდილობს რამე ტკბილი იპოვოს და შეიტანოს თავის სკაში; მუდამ დაბზუის სხვა მეზობლების კარებთან და ნაჩვრეტებთან დათუ მოახერხა საღმე შეძრომა და ერთი ბეწვა თაფლის მოპარვა, იცოდეთ იმავე გზით შეიყვანს შიგ თავის ამხანაგებსა — ესენი თავის მხრივ კიდევ სხვებს მოიყვანენ და ამგვარათ გაიმართება პატიოსანი ცარცვა-გლეჯა. თუ კაცმა დროზედ არ მიუსწოდო, ისეთი უბეჭურება მოხდება, ისე აირევა მთელი ფუტკარი, რომ ველარაფერს გაიგებ და შეიძლება ფუტკარმა გაწყვიტოს კიდეც ერთმანეთი.

ამისი წამალი: 1) ჯერ ერთი რომ უნდა გაფრთხილდეთ, ვიდრე ქურდობა დაიწყობა, ყველგან ფუტკართან დედა ფუტკარი უნდა იყოს, რადგან ობილი, უდედო ფუტკარი უფრო ვერ გასცემს მტერს პასუხს, ქურდებიც მას მიიტანენ პირველადვე; 2) სუსტი გუნდები ერთმანეთან უნდა შეაერთოთ; 3) არასფერი ტკბილი საფუტკრები და მის მახლობლად არ უნდა დაღვაროთ, რადგან ფუტკარი თითქმი ბრუვდება, აღვილ საშოვარს ეტანება, ქურდობას იწყებს და სხვა ფუტკრებსაც აჩვევს და ამხნევებს ამ ქურდობაში:

4) შესავალი კარების გარდა, ყველა ნაჩვრეტები უნდა მოსპოთ და თვით კარებიც იმ ზომამდე შეავიწროვოთ, რომ ერთი ორი ფუტკრის მეტს არ შეეძლოს სკაში შესვლა-გამოსვლა ერთბაშად:

5) თვალი მოუშორებლივ უნდა გეჭიროთ საფუტკრესკენ და თუ ქურდობა მაინც, გაჩნდა უნდა შემდეგი ზომები მიიღოთ:

**პირველი:** ის სკა, რომელსაც ცარცვავენ, ხელად უნდა წაიღოთ გრილ სარ-



დაფში და იმის ალაგის დასდგათ სხვა ცარიელი, შიგნიდან და გარედან ნავთით გასვრილი სკა. როდესაც ქურდები დარწმუნდებიან რომ აქ საშოვარი დაიკარგა, მეორე მესამე დღეს გადამალული ფუტკარი, შეავსეთ, თუ შეიძლება, სხვა ფუტკრით ცოტათი და გარედან ნავთ წასმული გჯა დადგით ისევ წინანდელ ადგილზე.

2) საქურდლათ მოსულ ფუტკარს წაყარეთ ფქვილი და დაკვირდით რომელ სკაში დაბრუნდნენ. იმ სკას შეუცვალეთ ადგილი იმასთან, რომელსაც ცარცვავდენ, თუ ორივე სკა, რასაკვირველია, თქვენს საფუტკრეში იმყოფება. შემცდარი ქურდი თვითონ დაცავს იმას, რომელსაც ცარცვავდა.

ამასთან უნდა ვიცოდეთ რომ, თუ ქურდი სხვისია, იმისი პატრონი დამნაშავედ არ ითვლება. დამნაშავე ის მეფუტკრეა და პასუხსაც თავის ზარალით ის აგებს, რომელიც სუსტ და ობოლ ფუტკარს ინახავს.

**უდროვო მართვი.** საზოგადოდ მართვის გამოშვება ფუტკრის ბუნებრივი გამრავლება არის და მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ფუტკრის გუნდი ანუ მისი რაოდენიმე ნაწილი სხვა და სხვა მიზეზებისა გამო მიატოვებს ხოლმე თავის ძველ ოჯახს და გადასახლდება სხვაგან.

ფუტკრის ესეთი მოქმედება ბუნებრივია და თვითონ ფუტკარს არასფერი ღონით არ შეუძლიან მისი შეცვლა. მოვლენა იგი დამოკიდებულია ჰავაზე, საკვებავზე, სკაზე და თვით ფუტკრის და მის მომვლელის ზნეჩვეულებაზე და ცოდნაზე.

თუ ფუტკარი თავის ნებაზედ არის მიშვებული, ხშირად ისეთი გაჭირვება შეიძლება მიაღეს, რომ უდროვოთ გა-

დიკარგოს, პატრონისათვის დაიღუპოს, მაგრამ თავისათვის კი შეიძლება უფრო კარგი ალაგი იშოვოს და თავი შეინახოს. ფუტკარი ამ შემთხვევაში მოქმედობს ისე, როგორც ფრინველები, რომელნიც ხაზრდოს საშოვნელათ ცივი ქვეყნებიდამ თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ხალხთა ცხოვრებაშიც ეხლა და ეხლა ხშირად ხდება ამისივე მზგავი გადასახლება. როდესაც გამრავლებულ ხალხს აღარ ყოფნის მამაპაპილან დატოვებული აღგილ-მამული, იძულებული ხდება მიატოვოს მოშენებული ოჯახი და ახალ ალაგის დაწყოს ცხოვრება, რომ შემშილს გადაურჩეს.

როდესაც წლევანდებურ ჰავას დაიჭერს, ბევრი ფუტკარი დასუსტდება იმ ზომამდე, რომ მთელი გუნდი იმედ დაკარგული სტოვებს თავის სკას და იკარგება, მიღის უფრო კარგი ალაგის საპოვნელად. მისუსტებულ ფუტკარს საძლავს სანთლის ჩრჩილი. ისეთ აბლაბუდას გამართავენ ხოლმე მისი მატლები ფიჭებში, რომ ფუტკარი ძალაუნებურად სტოვებს ბინას და ზარმაც მეფუტკრეს აბლაბუდით და მისი მატლებით საგსე სკალა რჩება. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად მეფუტკრეს შემდეგი საშუალებანი აქვს: თავის საკუთარი სარგებლობით დაინტერესებულ და ფუტკრისადმი სიყვარულით გახდალისებულ მეფუტკრეს უნდა თვალ-ყური ეჭიროს შესაფერად ხელი შეუწყოს, რომ ფუტკარი დაშვეილდეს.

აბლაბუდა-ჩრჩილი ჩნდება სკაში უსუფთაობისაგან. ჩრჩილის პატარა პეპელა საღამოთი სდებს სკის შესავალ კარებთან წვრილ წვრილ კვერცხებს და მისგან გამოჩეკილი პაწაწა მატლები იზდებიან დაბლა ჩამოყრილ ფიჭების მტვერში. თუ დააცალა კაცმა ეს მატ-

ლები მთელ ფიჭებს დაიჭერენ. ღონიერ და სუფთათ შენახულ ფუტკართან ჩრჩილის არ უყვარს ყოფნა, რადგან კიდევაც რომგანიცეს, გამრავლებასა და გაძლიერებას არ ეღირსება.

ჩრჩილი უფრო ეტანება ნაბუდარ ფიჭებს, საიდანაც გამოჩეკილან ფუტკარების ბლარტები, რადგან ჩრჩილი უჯრებში ჩარჩენილ ფუტკარის ბლარტების კნით იკვებება. თუ გსურთ შეინახოთ ცალკე ფიჭი ანუ ცარიელი ფიჭიანი სკა, უნდა კარგათ დაუბოლოთ მათ გოგირდი და დახუროთ რამე ზემოდან და შეინახოთ ერთმანეთის მოშორებით ისე, რომ ნიავი უბერავდეს. სარჩის დასამატებლად, ყოველ შემთხვევაში სჯობია, წმინდა თაფლი, თავისივე, თუ გაქვთ შენახული. ნაყიდი თაფლი ძლიერ უნდა აღულოთ ან და ჩაუმატოთ ერთი მეხუთედი შაქრის სირობი და ისე მისცეთ ფუტკარს. შაქრის სირობი ასე მზადდება: ორ სტაქანს შაქრის ფხვნილს უნდა ერთი იმოდენავე სტაქანი წყალი დასხათ და 10 მინუტი აღულოთ, ისე კი რომ შაქარი არ დაიწვას. მერე უნდა ჩაუმატოთ ერთი მისხალი ლიმონის სიმჟავე თითო ათ-თუთხმეტ გირვანქა შაქარზედ (სითხე ფიჭებში არ დაშაქრდება), ნელთბილი ჩასხათ ფართე თავიან ბანკაში, ოთხისუთი სტაქანი რომ ჩადიოდეს, წაუკარით მაგრათ თავი, უთუოთ გარეცხილი ტილოთი ან მიტკალით, და საღამოთი, კარგა რო ჩამოგვიანდება, თავდალმა დადგათ ფიჭებზე ზევიდან და კარგათ დახუროთ; იმ ღამესვე ფუტკარი გამოწუწნის სითხეს და გადიტანს თავის ფიჭებზედ. მეორე დილით აღრე უნდა ისევ აართვათ (თორემ შესაძლებელია ქურდობა გაჩნდეს) და საღამოთი ისევ ჩაუდგათ, სანამ ახალი სა-

კმელი რამ არ გაუჩნდებათ ბუნებაში. როცა ახალი საკმელი გაჩნდება, ფუტკარი სირობს აღარ მიეკარება, თუ მთელი ზამთრის სარჩი შეგროვილი აქვს, ე. ი. თუ შუათანა ოჯახმა 30 გირვან ქამდე თაფლი მაინც აიღო.

დასუსტებული ფუტკარის გუნდები ერთ მართვათ ასე უნდა შეაერთოთ: ორივე, ან რამდენიც იქნება, გეჯას უნდა კარგა დაუბოლოთ და გარედან გეჯებს მაგრა ჯოხით შემოკრათ რამდენჯერმე. როოესაც შეშინებული ფუტკარი აივება თაფლით, გეჯა უნდა გადააბრუნოთ თავდალმა (თუ უბრალო გეჯები ანუ კოდები არიან) და ძირიდან ჯოხის ცემით ფუტკარი ზევით სამართვეში ამორეკოთ და გაფენილ ტილოზე წიმოყაროთ ჯერ ერთი სკიდან და მერე ყველა სხვა სკებიდანაც (დედა ფუტკარი კი ყველას უნდა წაართვათ წინად). მერმე ერთი აჩჩეული დედა უნდა ჩაუსვათ კარგ სკაში და როდესაც ფუტკარი შელაგდება ტილოდან, ერთი დღე-ლამე გაატარებინოთ გრილ სარდაფში; შემდეგ დასდგამთ იქ, სადაც ერთი ამ გეჯებთაგანი იდგა და მისცემთ საკმაო სარჩის. დედა ფუტკარი რომ ჯერილი იყოს და იმავე ჯიშისა, რა ჯიშის ფუტკარსაც ვაერთობთ ერთ მართვათ, უკეთესია.

ამ ერთათ შეგროვილ ფუტკარს თუ რამდენიმე დედა შეჰყვა, ფუტკარი ყველას დახოცავს და დაიტოვებს მხოლოდ ერთს, მოხუცებულს, რადგან მოხუცებულის პატივის ცემა უფრო აქვთ. დედა ფუტკარი ხუთ წლამდე სძლებს და ბლობათ სდებს კვერცხს, ხოლო ღონიერი ოჯახის შენახვა ვ წლამდე შეუძლიან.

თუ სკები ჩარჩინიანია, ერთ მართვათ შეერთება უფრო ადვილდება. უნდა კარგად დაუბოლოთ ყველას და მაგ-



რათ შემოკრათ ჯოხით. როდესაც ფუტკარი აივსება თაფლით, ჩვეულებრივ ვეღარ იშხამება; იმ სკაში, რომელშიაც გადაგყავთ ფუტკარი (სადაც საუკეთესო დედა ფუტკარია), ჩარჩოები უნდა ისე ჩაალაგოთ, რომ მართვიც ჩაეტიოს და კიდევ სხვა სკებიდან თითო ახალი ჩარჩოც ჩასდოთ. ჩარჩოების შეღლაგება ისე უნდა, რომ შუაგულში ფუმფლიანები იყოს და მერე სხვები თავთავიანთი ფუტკრებით და კარგა დახუროთ და კიდევ დაუბოლოთ. ფუტკრების ერთ მართვათ შეერთ ბა სალამო ხანზე სჯობია. ახალ გარემოების ფუტკარი ღამე შეეჩვევა და მეორე დღეს დაშვიდებული იქნება და კარგა იმუშავებს.

ზემოთ ნათქვამიდან სხვათ შორის ჩარჩოიანი სკის უპირატესობაც სჩანს გეჯებთან ანუ კოდებთან შედარებით. როცა ფუტკარი ჩარჩოიან სკებში

გვყავს და ერთ მართვათ ვაერთებთ, შეერთების დროს ფუმფლი არ იკარგება ტყუილ უბრალოდ, არამედ თანვე შეძევს და ძლიერებს ახალ ოჯახს.

პირველად, როცა მეფუტკრეობას შევუდექი და ჯერ საკმაოდ გამოცდილი არ ვიყავი, ესეთი წვალება — რამდენიმე მართვის ერთ მართვათ შეერთება ოჯახების გასაძლიერებლად ხშირად მიხდებოდა. როცა ოჯახი ძლიერია და კარგად აქვს ხელი შეწყობილი, ძალაც ენახება ოჯახებს და მათი შეერთებაც საჭირო აღარ არის ხოლმე. ჩვენის ფიქრით დიდად შემცდარია, რა ესმის თავისი სარგებლობა სწორეთ იმ მეფუტკრეს, რომელსაც საფუტკრეში ბევრი დაუძლეურებული ოჯახი ყავს და არ აერთებს ერთმანეთთან იმისი სიხარბით, რომ ბევრი ძირი ფუტკარი ყვანდეს თვლით.

**პლ. ლორთქიფანიძე**

## გუნებრივი სასუქი ხეხულებისათვის

(გაგრძელება)

სასუქის ავკარგანობა დამოკიდებულია აგრეთვე იმ მასალაზე, რომელიც სასუქს ქვეშა აქვს გაშლილი. უფრო ხშირად ქვეშ გასაშლელად ხმარობენ ნამჯას, რომელსაც დაკუშავენ ხოლმე ისე, რომ ნაკუში 3—4 ვერმოკზე გეღლი არ იყოს. დაკუშული ნამჯა ისუტავს სასუქის წვენს და მის აღება-გაფენას გვიადვილებს, რადგან სასუქი ისეთი გატირანებული აღარ არის როგორც იქნებოდა, რომ ნამჯას წვენი არ შეეშრო.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, თოთო დესეტინას ძლიერ ბევრი ნეხვი უნდება (2,500 ფუთი).

შეუძლებელია ყოველწლივ ამოდენა სასუქის დაყრა. გამოფიტულ ნიადაგს

სასუქს 3—4 წელიწადში ერთხელ აყრიან. ამაზე ხშირად სასუქის მოყრა არც ვარგა. ღონიერ ნიადაგს ნაკლები სასუქი უნდა თითო ჯერზე.

ბევრი ისე ფიქრობენ, რომ ყამირი ადგილი, სადაც არა ყოფილა რა დათესილი, როგორც შესვენებული ადგილი, ყოველთვის ღონიერია და უპატივოდ ივარებს ხეხილის სახარებლად. შემცდარი ზარია. ხეხილის სახარებლად უთუოდ საჭიროა ნიადაგის კარგად მომზადება. მიწა უნდა ვაღმობრუნდეს, — ზევითი პირი ქვეშ მოექცეს და ქვეშითი ზევით, რომ მზემ დახედოს, თოვლშა და წვიმამ დაალბოს, ჰაერმა გაუაროს. თუ ამისთანავე მიწას, თუნდაც ნაყამირალი იყოს იგი, ნეხვი არ დავაყარეთ, იშ-

ვით შემთხვევაში მივიღებთ სასურველ შედეგს, იშვიათად იხარებენ ასლად დარგული ხეხილები.

ნეხვის შეტანა ბალში თავის ღრმოზე უნდა. როგორ უნდა დაიყაროს ნეხვი, ამასაც ცოდნა უნდა. ბევრს გონია, რაც უფრო ღრმათ ჩაყრის ნეხვს ხეხილის დასარგველად ამოთხრილ ორმოში, იმდენად სჯობია, რადგან იმდენად მითომ დიდხანს იმუშავებს სასუქი. არა. ღრმათ ჩაყრა სასუქისა შეიძლება მხოლოდ ფხვიერ, სუბუქ ნიადაგში, ისიც მარტო კარგად დაშლილი, დამწვარი სასუქისა. როცა ნეხვი ღრმათ დევს მიწაში, ქიმიური რეაქცია თითქმის ისპობა. ხშირად შეხვდებით ხოლმე დიდ სიღრმეზე კოლტ-ბელტად დარჩენილ გაუშლელ ნეხვს, რომელსაც ყველა თავისი შემაღენელი ნივთიერებანი ისევ თანა აქცს და მცენარისათვის-კი არა უწევია-რა, მცენარის ფქსვებით არ შესუტულა. გარდა ამისა, როცა ღრმად დევს ნეხვი, ნიადაგის წყალი რეცხავს მას, ნოკიერი შემაღენელი მისი ნივთიერებანი გააქცს-გამოაქცს მცენარის ფქსვებიდამ შორს და მცენარე ვეღარ სარგებლობს. არც სულ ნიადაგის ზემოდამ არის ნეხვის დაყრა კარგი. მეტადრე, სადაც ქარი და სიცხე იცის. აქ სასუქი მალე იყიტება, რის გამოც ქიმიური რეაქცია ისე აღარ ხდება, როგორც მცენარეს მოუხდება, და მასთან აზოტიც ბევრი გეარგება ნეხვს ჰაერში.

ყველაზე უკეთესია, ნეხვი 2—4 ვერმოკის სიღრმეზე ჩაიყაროს ხეხილის ნიადაგში.

მაშინ აღარც ქარისა და სიცხისაგან გამოიიტება ნეხვი, არც აზოტი ღაერ-კარგება ტყუილ-უბრალოდ და ჰაერის

მუავბადიც ადვილად ჩატანს 2—4 ვერმოკის სიღრმეს და განუწყვეტლივ იმოქმედებს ნეხვზე.

ქიმიური დაშლის ღრმას წარმომდგარი ნივთიერებანი წვიმის წყალით დადნებიან, ხის ფქსვებამდე ჩაიტანებიან და მცენარეს შეეთვასებიან.

ესეთ სიღრმეზე (2—4 ვერმ.) ახალი, დაუწვავი ნეხვიც შეიძლება მოვაყაროთ. ამ სიღრმეზე დაყრილი ნეხვი ნიადაგს სინესტესაც კარგად შეუნახავს.\*)

როდესაც ნიადაგი პირადებით იბარება ხეხილის ბალის გასაშენებლად, ნეხვი უნდა ნიადაგის იმ ნაწილში შევიტანოთ, რომელიც წინეთ ქვეშ იყო და ეხლა ზემოდამ მოექცა, თუმცა, თუ ნეხვი ბლომად გვაქვს და ხარჯს არ დავრიდებით, ურიგო არ იქნება ორივე ნაწილს ნიადაგისას მივცეთ სასუქი.

კარგია იგრევოვ ხეხილის დასარგველად დამზადებულ ორმოებში სასუქი ჩაუყაროთ მცენარეს ძირში, როცა ვრგავთ. ხოლო ამ შემთხვევაში უნდა ძველი ნეხვი ვიხმაროთ, როგორიც მაგალითად იხმარება საღუმლებში. უფრო კარგია შეზავებული სასუქი (კომპოსტი) ვიხმაროთ.

ყველა შემთხვევაში ნეხვი ჯერ უნდა მიწაში აირიოს და შემდეგ ისე ვიხმაროთ სასუქად და არა მიწა-გადურეველი, სუფთა, როგორც ხშირად შვრებიან.

### 3. შ—ელი (გაფრანგებული იქნება)

\* ) ნიადაგს ზემოდამ აყრიან ნეხვს მაშინ, როცა ახლად რგავენ ხეხილს და უნდათ რომ სინესტე არ გამოელიოს მცენარეს. ასე ღაერგული მცენარეები უფრო ადვილად იხარებენ.

გარდს დარგვაში ნეხვი უსათუოთ უნდა მოვაროსა.

## საქურადღებო ცნობები

**სხვილ ფეხსა საქონლის გაბრძევა.** სხვილ ფეხსა საქონლი ზაფხულობით ხშირად იძურება. თუ პატრიონმა დროის არ უშველა, საქონლი კვდება. მიზეზი იონჯა, უგრებელა და სხვა ბალაზები არის. როცა საქონლი სჭაბს ამ ბალასს და არა თივასი და ხარბად დაალევს წყალს, საქონლის კუჭში ჰაერგვარები წარმოსდგებიან ბლომათ და ბერავენ სხვულს.

**ქართლში იციან:** ალმასს გაავლებენ წყალუში და ამ წყალს დაალევინებენ საქონლს. წყალი, რასაკვირველია, არას შველის და საქონლი მაინც კვდება.

**ბეითლები** ამ ქარგიდან საქონლს ასე არჩენ: მარცენა ფერდში, რომელიც ჩვეულებრივ ჩავარდნელი აქვს საქონლს, დაკრავენ ქარქაში გამართულ და გახედებულ ბლოლოში დანას, რომელსაც ტროაკარი ქვიან სახელად. შემდეგ დანას ამოილებენ და ქარქაში შეიცვლიან ტროაკარი რჩება ჩარქობილი.

სხვულში დაგუბებული ჰაერგვარები ამ ქარქაშით ნელნელა გამოიდის გარეთ და როდესაც სხეული სრულიად დაცხრება, ქარქაშისაც ამოაძრობენ და ჭრილობა თავისთავად შეეკრება და გამოელება ხოლმე.

რადგან სოფლიად ტრაკარის შოვნა ძნელია, მის მაგივრად შეიძლება ეგრედწოდებული იმერული დანა ვიზმაროთ. დანა უნდა გაბერილ საქონლს მარცენა ფერდში ღიღივ ჩავკრათ ისე, რომ კანი კარგა გაეჭრას. შემდეგ ამ ჭრილობაში უნდა ჩაურჩეოთ ბატის ან ინდურის ფრთა, რომელსაც ჯერ უნდა გული გამოყალოს და გაიწმინდოს კარგად.

ეს ფრთის მილი ჭრილობაში ჩარქმული უნდა დავტოვოთ იქამდე, ვიდრე სხეულის სრულიად დაცხრება ქარებისაგან. მერე ამოვა ძრობათ ფრთას და გაუშვებოთ საქონლს. ჭრილობა თითონ შეიკვრება.

ედლი

## მოსავალი ამიერ-კავკასიაში მდგრადი 1909 წელს

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კორესპონდენციების ჩენებით მოსავალს ამიერ-კავკასიაში ესეთი პირი უჩანს.

ამდენი კორესპონდენციი იტყობინება კარგ, შუათანა და მდარე მოსავლის შესახებ;

ზომ. მთს.	ზ.	ფ.	ტ.	გ.	გარებ.	გუბ.	სულ	
							ტ.	გუბ.
კარგს	17	6	7	7	4	2	43	
შუათანას	14	7	4	5	2	2	34	
მდარეს	40	3	1	—	—	1	45	
ზაფ. მთს.								
კარგს	13	13	—	6	5	1	38	
შუათანას	33	9	12	3	4	3	64	
მდარეს	31	—	6	—	1	2	40	

ტეილისის გუბერნიაში კორესპონდენციები მოსავალს მხოლოდ იმ პირობით აქვთ, თუ გოლვამ მთელი მაისი არ გასტანა.

ხოლო როგორც შემდეგ მიღებული ცნობებიდანა სჩანს, მაისის 4, 8, 9 და 10 რიცხვებში იყო პატარ-პატარი წვიმა, მაგრამ მოსავალს მაგდენი ვერა უშეველა-რა.

უფრო ცუდ მდგომარეობას იშერე-

ბიან ვენახებისა და ხეხილის მოსავალის შესახებ.

ზომ. მთს.	ზ.	ფ.	ტ.	გუბ.	გუბ.	განაკვეთი	გუბ.	სულ
გენ. მთს.	{ კარგს	11	6	5	1	—	1	24
	{ შუათანას	19	5	3	3	—	3	33
	{ მდარეს	11	3	—	—	—	4	18
ხელის.	{ კარგს	7	5	5	2	—	1	20
	{ შუათანას	10	3	3	3	2	4	25
	{ მდარეს	49	6	3	3	—	2	63

ცოტა უკეთეს მდგომარეობაში ყოფილი ბალანსის მოსავალი.

კორესპონდენციები იტყობინებიან:

ზომ. მთს.	ზ.	ფ.	ტ.	გუბ.	გუბ.	განაკვეთი	გუბ.	სულ
კარგს	16	17	8	3	5	1	50	
შუათანას	28	3	1	2	4	—	38	
მდარეს	37	3	—	2	—	2	44	

ყველა ზემოთ მოყვანილიდან შეიძლება დაგსკვნათ, რომ მოსავალს ცუდი პირი უჩანს და თუ წვიმები არ მოვიდა უმოსავლობა იქნება.

ე. კანქერი

რედაქტ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე